

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

### ოქმი #13

ქ. ონი

12. 12. 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბაჩანა მარკოიშვილი.

**ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 9 წევრი:** ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ვანო ბალაშვილი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, სონია გუგეშაშვილი, გელა მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, გოჩა მეტრეველი.

**არ ესწრებოდნენ:** შუქურა ჯაფარიძე, გივი მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე მერაბ ორდინიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის კულტურის სამსახურის სოციალური განყოფილების უფროსი მარინე რაზმაძე, ეკონომიკის სამსახურის უფროსი დავით რაზმაძე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

3. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

4. „ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მ. რაზმაძე სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი/

5. „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის #44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. დ. რაზმაძე-მერიის ეკონომიკის სამსახურის

უფროსი /

6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. გ. მეტრეველი-კომისიის წევრი/

7. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. გუგუშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

8. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

9. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. გუგუშაშვილი-კომისიის წევრი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს** 1.„ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

მომხსენებელმა, მ. ორდინიძემ, გააცნო ბიუროს წევრებს დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დადგენილების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დასამტკიცებლად.

**მოისმინეს:** 2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნები ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, არ არის გათვალისწინებული, რადგან იმ თემების მაჟორიტარ დეპუტატებს, რომლებმაც გამოთქვეს უკმაყოფილება მომავალი წლის ბიუჯეტში მათი თემების პრობლემების გაუთვალისწინებლობის გამო, გასულ სხდომაზე გაცათ პასუხი, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ბიუჯეტის დაზუსტებისას მოხდება ამა თუ იმ სოფელში პრიორიტეტული საკითხების დაფინანსება და პრობლემების მოგვარება, რაც შეეხება საკრებულოს უხელფასო წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების თანხის მომატებას, აღნიშნული თანხა განსაზღვრულია საკრებულოს განკარგულებით და შესაბამისად, თანხის მატებაც უნდა განსაზღვროს საკრებულომ, ხოლო შენიშვნაზე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ავტომანქანის მომსახურების თანხის განსაზღვრის თაობაზე, მ. ორდინიძემ განაცხადა, რომ პერსონალური ავტომობილით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და მერს, შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ავტომობილის მომსახურების თანხა არ შეიძლება იყოს გათვალისწინებული ბიუჯეტის პროექტში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 3. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 4. ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მ. რაზმაძე განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 5. „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის #44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. დ. რაზმაძე-მერიის ეკონომიკის სამსახურის

უფროსი /

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის #44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

*/მომხს. გ. მეტრეველი-კომისიის წევრი/*

ვ. ბალაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

**გადაწყდა:** ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 7. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

*/მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/*

ს. გუგეშაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

**გადაწყდა:** ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 8. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

*/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/*

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

**გადაწყდა:** ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 9. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

*/მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის წევრი/*

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

**გადაწყდა:** ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონურვის შემდეგ საკრებულოს აპარატის უფროსმა ა. კერვალიშვილმა მერის პირველ მოადგილეს აცნობა, რომ საკრებულოს შენობაში გათიშულია დაცვის ელექტროსისტემა და საჭიროა სასწრაფოდ შესაბამისი ზომების მიღება.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**ბაჩანა მარკოშვილი**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე